DOBLÒ CARGO.

FIAT PROFESSIONAL

სტიადა მოტორსი, FIAT-ის ექსკლუზიური დილერი საქართველოში, 2010 წლიდან წარმოგიდგენთ FIAT Professional მიმართულებას.

FIAT მსოფლიოში აღიარებული იტალიური საავტომობილო ბრენდია, რომელსაც თავისი 100 წლიანი ისტორიის მანძილზე მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო ტიტული.

FIAT Professional-ის სამოდელო რიგი სრულად პასუხობს ნებისმიერი მოცულობის და სპეციფიკის მქონე ბიზნესის მოთხოვნებს. ბრენდის მთავარი უპირატესობებია: ხარისხი, საიმედოობა, დიზაინი, უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, ეკონომიურობა და ფლობის დაბალი ღირებულება.

FIAT Professional წარმოგიდგენთ სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც მორგებულია ნებისმიერი სახის მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე.

ჩვენი მისია - გავხადოთ თქვენი საქმიანობა უფრო სწრაფი, მოქნილი, კომფორტული და პროდუქტიული.

FIAT Professional - საქართველო

FIAT-ის ცენტრი 10 წელია წარმატებით თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორთან, ჩვენი მომხმარებლები არიან: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ნაბეღლავი, საქართველოს ფოსტა, ნატახტარი, მარნეულის სასურსათო ქარხანა, ლიბერთი ბანკი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თელასი, ყაზტრანსგაზი, ისი პარი, ამბასადორი, GULF, Socar, Fedex, DHL, Lavazza და სხვა.

FIAT სანდო პარტნიორია ყველა იმ ბიზნესისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ხარისხიანი ტრანსპორტირება ნაკლები დანახარჯებით.

Doblo Cargo სიამაყით ატარებს Fiat Professional -ის ემბლემას და პროფესიონალის სტატუსს.

ბიზნეს პროცესების

უკეთესი გადაწყვეტილება

Doblo Cargo ქმნის დამატებით ღირებულებას ნებისმიერი საქმიანობისთვის, მისი მრავალ-ფუნქციური დანიშნულება ერგება განსხვა-ვებულ მოთხოვნებს და შეუფასებელ პარტნიო-რობას უწევს ბიზნესს ნებისმიერ სფეროში. საუკეთესო Van-ის ტიტულის მქონე Doblo Cargo ყოველდღიურობას უფრო მარტივს და ხალისიანს ხდის.

Doblo Cargo: მეტი ფუნქციონალურობა, მეტი პროდუქტიულობა, ნაკლები დანახარჯები.

მესამე სავარძელი სალონში

დასაკეცი ცენტრალური სავარძელი

მგზავრის სავარძლის ქვედა განყოფილების სათავსო

მგზავრის დასაკეცი სავარძელი

სამგზავრო განყოფილებაში დამატებითი ოპციის არჩევის შემთხვევაში შესაძლე-ბელია 3 მგზავრის განთავსება, ასევე საშუა-ლება გაქვთ აირჩიოთ: დასაკეცი ცენტრა-ლური სავარძელი, მგზავრის დასაკეცი სავარ-ძელი და ფუნქციონალური სავარძლები დამატებითი სათავსოებით.

მეტი პრაქტიკულობა

როდესაც სტილი და ფუნქციონალურობა თანხვედრაშია, მუშაობის ხარისხი და შედეგები შესაჩმნევად უმჯობესდება. ზუსტად ამიტომ Doblo Cargo გთავაზობთ ახალ გადაწყვეტილებებს: 2 ადგილიანი მგზავრის სავარძელი, გაუმჯობესებული აკუსტიკა, კომფორტი, ერგონომიულობა, ახალი ტექნოლოგიები, მართკუთხა სატვირთო ფართი და კლასში საუკეთესო სატვირთო ფართის მოცულობა.

UCONNECT™ მულტიმედია სისტემა

Bluetooth® რადიო

AUX და USB პორტები

Doblò Cargo გთავაზობთ Uconnect™ მულტიმედია სისტემას სენსორული მონიტორით, ნავიგაციით, ხმის ამოცნობის Bluetooth ტექნოლოგიით და AUX/USB პორტებით. SMS მკითხველი იყენებს Text to speech ტექნოლოგიას იმისთვის, რომ მიიღოთ და მოუსმინოთ ტექსტურ შეტყობინებებს მობილური ტელეფონებიდან. Uconnect™ სერვისი იძლევა მულტიმედია სისტემასთან დაკავშირების საშუალებას სპეციალური მობილური აპლიკაციის საშუალებით. სმარტფონთან დაკავშირების შემდეგ პროგრამა გამოისახება და ამოქმედდება Uconnect™ სენსორულ მონიტორზე.

ფუნქცია eco: Drive კომფორტულს ხდის ავტომობილის მართვის პროცესს, ამცირებს საწვავის მოხმარებას და CO_2 ემისიის დონეს. გეგმიურ სერვისთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად მძღოლს ეხმარება ფუნქცია my: Car. Uconnect™ ნავიგაციის სისტემა TomTom 2.5D, რომელიც მოიცავს TomTom IQ® მარშრუტებს - რეალურ დროში განსაზღვრავს უმოკლეს მარშრუტს დანიშნულების პუნქტამდე და მოძრაობის საშუალო სიჩქარეზე დაყრდნობით გამოიანგარიშებს მგზავრობის დროს. მძღოლს შეუძლია იხელმძღვანელოს საინფორმაციო პანელის turn by turn ინსტრუქციებით და უსაფრთხოდ მივიდეს დანიშნულების ადგილას.

Doblò Cargo-ს ახალი პრაქტიკული დიზაინი შექმნილია სამუშაო ცხოვრების სტილის გასაუმჯობესებლად. მისი ერგონომიული სივრცე მთლიანად განახლდა, ავტომობილის ინტერიერი მაქსიმალურად ფუნქციონალური და პრაქტიკულია. მარტივად ხელმისაწვდომია მართვის ღილაკები, პანელზე განთავსებულია მრავალი სათავსო, მათ შორის სპეციალური სათავსოა 10"-იანი პლანშეტისთვის. დიდი ყურადღება დაეთმო აკუსტიკურ კომფორტსაც და სალონში ხმაურის დონე შემცირებულია 3 დეციბელამდე. ამ ყველა ფუნქციას კი მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - გახადოს თქვენი დღე მეტად პროდუქტიული და ნაკლებად დამღლელი.

ცენტრალური სათავსო განყოფილება
სპეციფიური არაცურვადი მასალისგან დამზადებული სათავსო განყოფილება პრაქტიკულია საჭირო ნივთების მოსათავსებლად.

მეტი ფუნქციონალურობა
მეტი კომფორტი სალონში

კარის პანელის სათავსო განყოფილება
საკმარისი სივრცე ერთდროულად ერთი 1,5 ლიტრიანი ბოთლის, ორი 0.5 ლიტრიანი ბოთლის და A4 ზომის ორგანაიზერის შესანახად.

მეტი ფუნქციონალურობა

მეტი პროდუქტიულობა

Doblò Cargo გთავაზობთ კლასში საუკეთესო პერ-ფორმანსს და ერგონომიულ გადაწყვეტილებებს. სატვირთო განყოფილების მართკუთხა ფორმა, მოსახერხებელი სახელურები (როგორც გარე ვერტიკალური, ასევე შიდა pullcup), 180° უკანა კარის გახსნის ფუნქცია და გასაცურებელი გვერდითა კარი ამარტივებს სამუშაო პროცესს. მოსახერხებელია დატვირთვისა და გადმოტვირ-თვის პროცედურა, უკანა ორფრთიანი კარის და გვერდითა გასაცურებელი ფართე კარის გაღებით შესაძლებელია სატვირთო განყოფილების სიღრ-მის და მოცულობის მთლიანად ათვისება.

მოსახერხებელი და პრაქტიკული
სატვირთო განყოფილება

გვერდითა კარის ერგონომიული
ვერტიკალური სახელურები

უკანა ორფრთიანი კარის სახელური,
რომლის გაღება მარტივად არის
შესაძლებელი.

ფართოდ გასახსნელი
გვერდითა გასაცურებელი კარი.

1.3 MULTIJET ტურბოდიზელის მძლავრი ძრავი ხასიათდება მაღალი ბრუნით სიჩქარის დაბალ გადაცემაზე. ახალი თაობის ძრავი სწრაფად რეაგირებს სიჩქარის ცვლილებაზე.

1.3 MultiJet II

Euro 5+ სტანდარტის MultiJet II დიზელის ძრავი.
1.3 MultiJet II 90ცძ.

Euro 6 სტანდარტის ბენზინის ძრავი.
1.4 MPI 95ცძ.

მეტი პერფორმანსი

მეტი კომფორტი მართვისას

კლასში საუკეთესო მართვის კომფორტი: Doblo Cargo-ს უკანა Bi-LINK დაკიდების სისტემა, ახალი თაობის ძრავები და გაუმჯობესებული გადაცემათა კოლოფი უზრუნველყოფს ავტომობილის რბილ და კომფორტულ გადაადგილებას. Doblo Cargo-ს მრავალფუნქციური სატვირთო ფართი აკმაყოფილებს სხვადასხვა ბიზნესის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ავტომობილი იდეალურია როგორც ქალაქში, ასევე შორ დისტანციებზე ტვირთის ტრანსპორტირებისთვის. ახალი თაობის ძრავები ხასიათდება მაღალი ბრუნით ნებისმიერ სიჩქარეზე, ეფექტურია საწვავის მოხმარების და ხარჯების დაზოგვის კუთხით.

MultiJet II დიზელის ძრავი

90 MultiJet II
მოცულობა: 1.248 სმ³
სიმძლავრე: 90 ცძ / 3.750 ბრ/წთ
მაბრუნებელი მომენტი:
200 ნმ /20.4 კგმ / 1.500 ბრ/წთ
შეფრქვევა: ელექტრონულად მართვადი, პირდაპირი Common Rail MultiJet II ტიპის ტურბო და შიდა გამაგრილებლით.



მეტი პერფორმანსი

მეტი დიაპაზონი

95 MPI
მოცულობა: 1.368 სმ³
სიმძლავრე: 95 ცძ / 6.000 ბრ/წთ
მაბრუნებელი მომენტი:
127 ნმ /12.9 კგმ / 4.500 ბრ/წთ
შეფრქვევა: მრავალწერტილიანი (MPI) ელექტრო განაწილებული



Traction + მოჭიდების კონტროლის ინოვაციური სისტემა აუმჯობესებს ავტომობილის მოჭიდებას სავალ ზედაპირთან. ნებისმიერ საბურავზე მოჭიდების შემცირებისას დატვირთვა ავტომატურად გადადის იმ საბურავზე, რომელსაც მეტი მოჭიდება აქვს. სისტემა გეხმარებათ შეინარჩუნოთ სტაბილური საკურსო სვლა და უკეთესი მართვადობა.

მეტი პერფორმანსი

მეტი მართვადობა

უკანა დაკიდების სისტემა გაუმჯობესებული მართვადობისთვის და დინამიურობისთვის.

სტანდარტული ვერსია

Maxi ვერსია

Combi ვერსია

Doblò Cargo ქმნის ყველაზე კომფორტულ სამუშაო პირობებს, ავტომობილი აღჭურვილია უკანა დამოუკიდებელი Bi-link დაკიდების სისტემით, რაც აუმჯობესებს მართვადობას ნებისმიერ რელიეფზე, იდეალურად ინარჩუნებს სტაბილურობას და მეტად კომფორტულს ხდის მგზავრობას. FIAT DOBLO-ს Bi-link სისტემის კომპონენტები VAN კატეგორიაში განაპირობებს მაქსიმალურ სირბილეს და კომფორტულობას. დაკიდების სისტემა ახდენს კალიბრაციას ავტომობილის ფუნქციებთან შესაბამისად, Traction+ ელექტრონული კონტროლის სისტემა კი ეხმარება ავტომობილს შეინარჩუნოს მოჭიდება რთულ სავალ ზედაპირზე.

შავი ფერის სარკეები

მანქანის ფერის სარკეები

შავი ბამპერები

მანქანის ფერის ბამპერები

უკანა ფარები FIAT-ის ლოგოთი

მეტი სტილი

ინტერიერი

საინფორმაციო პანელზე გამოტანილი ნებისმიერი ინფორმაცია მარტივად წაკითხვადია ავტომობილის მართვისას.

საინფორმაციო პანელი ქრომის ელემენტებით

Doblo Cargo-ს სალონში გაძლიერებული ვენტილაცია და გაუმჯობესებული კლიმატკონტროლი უზრუნველყოფს სალონში შემომავალი ჰაერის ნაკადის მუდმივ ფილტრაციას, რაც უზრუნველყოფს მუდმივად სუფთა ატმოსფეროს შენარჩუნებას. ერგონომიული საჭე, საინფორმაციო პანელის ახალი გრაფიკული დიზაინი და პანელის მონიტორზე გამოტანილი ინფორმაციის საუკეთესო ხილვადობა ამარტივებს ავტომობილის მართვის პროცესს.

საბურავების წნევის მონიტორინგი (TPMS).
სისტემა აკონტროლებს საბურავების წნევის დონეს და გამოაქვს ინფომრმაცია საინფორმაციო მონიტორზე.

ელექტრონული სტაბილურობის კონტროლი (ESC).
სისტემა აქტიურდება მხოლოდ კრიტიკული მდგომარეობის დროს, როგორიცაა უეცარი მანევრი ან ექსტრემალური დამუხრუჭება. აჩქარების, მოძრაობის სიჩქარის, მოჭიდების და საქის მოხვევის კუთხის გათვალისწინებით სისტემა ავტომატურად ახმარს მუხრუჭს და ეხმარება მძღოლს საჭეზე კონტროლის აღდგენაში და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

კრუიზ კონტროლი.
კრუიზ კონტროლი საშუალებას გაძლევთ შეარჩიოთ და შეინარჩუნოთ მართვის სასურველი სიჩქარე.

საუკეთესო არჩევანი
თქვენი ბიზნესისთვის

უსაფრთხოება

უსაფრთხოების კუთხით ავტომობილი მაქსიმალურად დაცულია, მის სტანდარტულ კომპლექტაციაშია მძღოლის უსაფრთხოების ბალიში, ABS მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, EBD სამუხრუჭე ძალის ელექტრონული გადანაწილება თვლებზე, VDC ავტომობილის დინამიურობის კონტროლი , ASR/MSR და Hill Holder აღმართზე დაქოქვისას დამხმარე სისტემა.

წნევის მონიტორინგის სისტემა (TPMS) უზრუნველყოფს საბურავების წნევის მუდმივ მონიტორინგს.

Doblò გთავაზობთ ვერსიების მრავალფეროვან არჩევანს თქვენი ბიზნესისთვის. Cargo ვერსია განკუთვნილია ნებისმიერი კატეგორიის ტვირთის ტრანსპორტირებისთვის, ხოლო Combi გამოიყენება სატვირთო ან სამგზავრო დანიშნულებით.

DOBLÒ CARGO.
Van

ავტომობილის ზომები (მმ)	
საბურავების ბაზა	2755
სიგრძე	4406
სიგანე	1832
სიმაღლე	1845
უკანა კარის სიგანე	1231
უკანა კარის სიმაღლე	1250
გვერდითა კარის სიგანე	700
გვერდითა კარის სიმაღლე	1175

სატვირთო განყოფილების ზომები (მმ)	
სიგრძე	1820
სიგანე	1714
სიმაღლე	1305
საბურავის თაღებს შორის სიგანე	1230
დატვირთვის სიმაღლე (დაუტვირთავი)	545
მოცულობა	3.4 / 3.8 * მ^3
ტვირთამწეობა მძღოლის ჩათვლით	750-1005კგ

* მგზავრის სავარძლის დაკეცვისას

მრავალფუნქციური ფურგონი პასუხობს ნებისმიერი ტიპის ბიზნესის მოთხოვნებს, მძლავრი და ამავდროულად ეკომომიური ფურგონი ხასიათდება კლასში საუკეთესო სატვირთო ფართის მოცულობით და ტვირთამწეობით. სატვირთო ნაწილში ტვირთის სტაბილური განთავსებისთვის ავტომობილი აღჭურვილია 6 ფიქსატორით.

DOBLÒ CARGO.
Maxi

გარე ზომები (მმ)	
საბურავების ბაზა	3105
სიგრძე	4756
სიგანე	1832
სიმაღლე	1880
უკანა კარის სიგანე	1231
უკანა კარის სიმაღლე	1250
გვერდითა კარის სიგანე	700
გვერდითა კარის სიმაღლე	1175

სატვირთო განყოფილების ზომები (მმ)	
სიგრძე	2170
სიგანე	1714
სიმაღლე	1305
საბურავის თაღებს შორის სიგანე	1230
დატვირთვის სიმაღლე (დაუტვირთავი)	545
მოცულობა	4.2 / 4.6 * მ^3
ტვირთამწეობა მძღოლის ჩათვლით	750/1005კგ.

* მგზავრის სავარძლის დაკეცვისას

35 სმ-ით მეტი საბარგულის სიგრძე. Maxi ფურგონი გთავაზობთ ინტერიერის რეკორდულ სივრცეს და მოცულობას. საბარგულის განყოფილება 55სმ დატვირთვის სიმაღლით, სათანადო განათებით და უკანა ფართო კარებით, რომლის გახსნა შეიძლება 180° ით, ამარტივებს და მოსახერხებელს ხდის სამუშაო პროცესს.

DOBLÒ COMBI.

5 კომფორტული ადგილი მგზავრებისთვის და 425კგ-მდე დამატებითი ტვირთამწეობა. Doblò Combi არის იდეალური სატრანსპორტო საშუალება როგორც მგზავრების, ისე ტვირთის ტრანსპორტირებისთვის. ხელმისაწვდომია სტანდარტული და Maxi ვერსიები.

ავტომობილის ზომები (მმ)	სტანდარტული	Maxi
საბურავების ბაზა	2755	3105
სიგრძე	4406	4756
სიგანე	1832	1832
სიმაღლე	1845	1880
უკანა კარის სიგანე	1231	1231
უკანა კარის სიმაღლე	1250	1250
გვერდითა კარის სიგანე	700	700
გვერდითა კარის სიმაღლე	1175	1175

საბარგულის განყოფილების ზომები (მმ)	სტანდარტული	Maxi
სიგრძე	950	1300
სიგანე	1195	1261
სიმაღლე	1250	1250
მინიმალური სიგანე	1120	1191
უკანა თაროების დონე	600	600
მოცულობა	790/ 3200*	1050/ 4000*
ტვირთამწეობა მძღოლის ჩათვლით	5მგზავრი+ 335კგ	5მგზავრი +425კგ

* დაკეტელი უკანა რიგის სავარძლებით, გამყოფი ტიხრის გარეშე

საბარგულის განყოფილება

უკანა რიგის სავარძლები კეცვის ფუნქციით

3 როზეტი გარე მოწყობილობების
დასაკავშირებლად.

თარო ნივთებისთვის (Capucine).

საბარგულის მოძრავი განათება.
საჭიროების შემთხვევაში
შესაძლებელია განათების
მოხსნა და პორტალური
გამოყენება.

დამატებითი აღჭურვილობა



ელექტრო რეგულირებადი და კეცვადი სარკეები.
Doblò Cargo-ს გვერდითა ორმაგი სარკეები უზრუნ-
ველყოფენ საუკეთესო ხილვადობას, მათი რეგული-
რება და დაკეცვა სალონიდან ელექტრონულად
არის შესაძლებელი.

კლიმატკონტროლი.
Doblò Cargo-ს ნებისმიერი ვერსიის აღჭურვა შესაძლე-
ბელია კონდიციონერით ან ორზონიანი ავტომატური
კლიმატკონტროლით. სალონში ავტომატურად ხდება
ჰაერის ნაკადის გადანაწილება და ჰაერის რეცირკულაცია.

სათავსო განყოფილება
სამგზავრო სავარძლის ქვეშ.

საბარგულის თარო გაძლევთ
საშუალებას განათავსოთ
70კგ-მდე ბარგი.

თბობადი სავარძლები.
წინა სავარძლების
გათბობა შესაძლებელია
სავარძელზე
განთავსებული ღილაკის
გამოყენებით.
სავარძლების გათბობა
ყველაზე ცივ კლიმატშიც
კი კომფორტულს ხდის
მგზავრობას .

საჭეზე ინტეგრირებული აუდიო კონტროლის ღილაკები.

სავარძლები.
მძღოლისა და მგზავრის სავარძლებისთვის
ბევრი პრაქტიკული გადაწყვეტაა
ხელმისაწვდომი:

- სავარძლის ზურგის რეგულირება
- სავარძლის წელის არეში რეგულირება
- სავარძლის საიდაყვეს რეგულირება
- სავარძლების დაკეცვა სხვადასხვა
  კომბინაციით.

დამატებითი აღჭურვილობა

ტიხრები.

სატვირთო განყოფილება შეიძლება გამოყოფილი იყოს სხვადასხვა ტიპის ტიხრით: ყრუდ იზოლირებული მეტალის ტიხარი, პანელური ტიხარი ხმის იზოლაციით, მეტალის ტიხარი ფიქსირებული სარკმლით ან ნაწილობრივი ტიხარი.

ნაწილობრივი ტიხარი.

ტვირთის განსათავსებლად შესაძლებელია გამოიყენოთ დამატებითი ფართი სამგზავრო სავარძლის დაკეცვით, რომელიც იატაკის დონემდე იკეცება.

სანისლე ფარები.

სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია სანისლე ფარების დამატებითი ოპციის სახით არჩევა. მაქსიმალური ეფექტურობისთვის სანისლე მაშუქები განლაგებულია წინა ბამპერის ქვედა ნაწილში .

ბადე ტიხარი.

ძლიერი მეტალის სტრუქტურა მკვეთრი დამუხრუჭებისას უზრუნველყოფს მძღოლის უსაფრთხოებას.

სატვირთო ნაწილის საფარი.

იატაკი შეიძლება იყოს მეტალის ან დაფარული სპეციალური მასალით.

პარკირების სენსორები.

სენსორები აქტიურდება უკანა სვლის დროს და წყვეტილი ხმოვანი სიგნალით მძღოლს ატყობინებს ობიექტთან მიახლოებას.

MOPAR-ის ორიგინალი აქსესუარები

More care for your car

ორიგინალი აქსესუარების მრავალფეროვანი არჩევანი Mopar®-ისგან.
100-ზე მეტი აქსესუარი სხვადასხვა მოწყობილობების და სისტემების ჩათვლით.

წინა საქარე დეფლექტორები

რეზინის წინა ფეხსაგებები

სახურავის რელინგის გვერდითა დამჭერი

სახურავის რელინგი.
3 ნაწილიანი ალუმინის
კომპლექტი.

სახურავის რელინგის
ფიქსატორი მილის
დასამაგრებლად.

სავარძლები:

დისკები:

15" დეკორატიული დისკი

16" დეკორატიული დისკი

15" ალუმინის დისკი

16" ალუმინის დისკი

16" ალუმინის დისკი

DOBLÒ CARGO.

პასტელის ფერები:

თეთრი 249

წითელი 168

ლურჯი 479

მეტალიკის ფერები:

მარგალიტი 722

წითელი 293

ღია ცისფერი 448

ლურჯი 487

ბორდოსფერი 590

ნაცრისფერი 695

ვერცხლისფერი 612

შავი 632

ტექნიკური სპეციფიკაცია

ტექნიკური სპეციფიკაცია	1.4 MPI	1.3 Multijet II	1.6 Multijet II Comfort	1.6 Multijet II
ძრავი	ბენზინი 95ცძ	დიზელი 90ცძ	Matic დიზელი 90ცძ	დიზელი 105ცძ
ემისის სტანდარტი	Euro 6	Euro 5+	Euro 5+	Euro 5+
ცილინდრების რაოდენობა	4	4	4	4
ძრავის მოცულობა (სმ³)	1368	1248	1598	1598
მაქს. სიმძლავრე (კვტ/ცძ/ბრუნი წთ)	70/95/6000	66/90/4000	66/90/4000	77/105/4000
მაბრუნებელი მომენტი (ნმ/კგმ/ბრუნი წთ)	127/12.9/4500	200/20.4/1500	200/20.4/1500	290/29.6/1500
კვების სისტემა	MPI ელექტრო განაწილებული შეფრქვევა	Multijet II Common Rail ტიპის პირდაპირი შეფრქვევა ტურბო და შიდა გამაგრილებლით		
სიჩქარეთა კოლოფი				
ამძრავი თვლები	წინა	წინა	წინა	წინა
გადაცემათა კოლოფი	მექანიკა, 5+1	მექანიკა, 5+1	Comfort Matic, 5+1	მექანიკა, 6+1
საბურავები				
საბურავები	195/60R16	195/60R16	195/60R16	195/60R16
წონა				
დაუტვირთავი ავტომობილის წონა (კგ) Cargo Maxi	1315	1415	1460	1460
ტვირთამწეობა მძღოლის ჩათვლით (კგ)	750	750	750	750
ტვირთამწეობა მძღოლის გარეშე (კგ)	900	1005	1005	1005
საწვავის ავზის მოცულობა				
საწვავის ავზის მოცულობა	60	60	60	60
სიჩქარე				
მაქსიმალური სიჩქარე (კმ/სთ)	161	158	158	164
საწვავის ხარჯი (ლ/100კმ)				
ქალაქში/ქალაქგარეთ/შერეული*	10.4/5.8/7.5	6.6/4.5/5.3	5.7/4.8/5.1	6.8/4.7/5.5
CO_2 გამოყოფა (გ/კმ)	169	133	130	143

* საწვავის ხარჯი იცვლება სხვადასხვა გარემოებებით

აკ. ბელიაშვილის ქ. 191

(+995 32) 2 307 307 / sales@fiat.ge

www.fiatprofessional.ge